საქართველოს რესპუბლიკა





საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია დიდი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი-ასტრონომი, საკავშირო სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი –

როლან კილაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახის წევრებს, ახლობლებსა და კოლეგებს.

როლან კილაძე

გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი-ასტროფიზიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი როლან კილაძე.

რ.კილაძე დაიბადა ქ. თბილისში 1931 წლის 23 სექტემბერს. სწავლობდა ვაჟთა მე-7 საშუალო სკოლაში. ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1955 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა ე.ხარაძის სახელობის აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში სხვადასხვა თანამდებობებზე, 2001-2006 წლებში იყო ამ დაწესებულების დირექტორი. 1962-2005 წლებში პარალელურად მოღვაწეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასტრონომიის კათედრაზე, 2007 წლიდან იყო ი.ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

რ.კილაძის სამეცნიერო ინტერესების სფერო მოიცავდა ვარსკვლავთ ასტრონომიის, კოსმოგონიისა და ცის მექანიკის კლასიკურ პრობლემებს. ამ დარგებში მის მიერ მიღებული უმნიშვნელოვანესი შედეგები ასახულია 6 მონოგრაფიასა და 150-მდე სამეცნიერო სტატიაში. 1988 წელს იგი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

1971 წელს რ.კილაძეს ზუსტ ასტრონომიულ ხელსაწყოთმშენებლობაში მიღწეული წარმატებისათვის თანაავტორებთან ერთად მიენიჭა სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში; დაჯილდოებული იყო ციოლკოვსკის და კოროლიოვის სახელობის მედლებით. მინიჭებული ჰქონდა ღირსების ორდენი (2001 წ.).

1996 წელს საერთაშორისო კატალოგში დარეგისტრირდა მცირე პლანეტა სახელად „4737 KILADZE“.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს შესანიშნავი მეცნიერის და ძვირფასი კოლეგის როლან კილაძის გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახსა და ახლობლებს.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემია